



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

**ციფრულ საეთერო მულტიპლექს პლატფორმასთან სამაუწყებლო პროგრამების
განთავსების პროცედურები-**

რეკომენდაციები სახელმწიფო რეგულირებისთვის

ავტორი: უჩა სეთური

თებერვალი, 2015

წინამდებარე კვლევაზე ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საავტორო უფლებები. დაუშვებელია კვლევის ან კვლევის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ნებართვის გარეშე.

კვლევა მომზადდა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ პროექტის **"ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა"** ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ.



კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას.

შინაარსი

1. შესავალი	3
2. მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო	7
3. ევროპის რიგი ქვეყნების გამოცდილება და არსებული პრაქტიკა	9
3.1 ალბანეთი	18
3.2 ავსტრია.....	20
3.3 ბოსნია ჰერცეგოვინა.....	22
3.4 ხორვატია.....	23
3.5 იტალია	28
3.6 მონტენეგრო.....	29
3.7 სერბეთი.....	31
3.8 სლოვენია.....	33
4. უცხოური წარმოების კონტენტის ციფრულ საეთერო ქსელში განთავსების რეგულაცია.....	36
5. რეკომენდაციები მულტიპლექსირების ოპერატორის ქსელში არხების განთავსების რეგულირებისთვის.....	38

1. შესავალი

მსოფლიო მედია ბაზარი მიმდინარე კონცენტრაციისა და გლობალიზაციის პროცესების გამო სწრაფად იცვლება. იზრდება იმ პროგრამების რაოდენობა და მრავალფეროვნება, რომელიც საინტერესოა და ხელმისაწვდომია მსოფლიოს ბევრი ქვეყნების ტელემაყურებლისთვის. ამის გამო იმატებს რისკები პატარა ქვეყნების მედია ბაზრებისთვის, რაც პირველ რიგში უკავშირდება ეროვნული არხების რაოდენობის კლების საფრთხეს. ეს კი თავისთავად ნიშნავს სატელევიზიო სივრცის შემცირებას. ზემოთ ხსენებულის გამო გარდამავალ პერიოდში საჭიროა ადგილობრივი წარმოების კონტენტის საეთერო გავრცელების სწორი და ზუსტი პრიორიტეტის დადგენა.

მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მედია საშუალებების საქმიანობის მაქსიმალური დისტანცირება სახელმწიფო რეგულირებისგან. ეს მიდგომა უნდა შესრულდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტის გავრცელების მიმართულებითაც. დღეს არსებული მოდელის შესაბამისად საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტს ავრცელებს ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ოპერატორი - შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი",¹ რომლის წილის 100% სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო ე.წ. "ჰედ-ენდის" ანუ სათაო სადგურის კონტროლს ახორციელებს შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი" და არა საზოგადოებრივი მაუწყებელი.²

ორგანიზაციის ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულია კანონპროექტი ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ეს ცვლილებები შეეხება საქართველოს კანონებს "მაუწყებლობის შესახებ" და "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ". სამწუხაროდ, ეს პროცესი დაინტერესებული პირების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გარეშე მიმდინარეობს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმაში³

¹ <http://www.tvrcenter.ge/>

² Guide to the Digital Switchover, OSCE, Vienna 2012 <http://www.osce.org/fom/73720?download=true>

³ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები. 8 თებერვალი, 2014.

გაწერილია ზოგადი რეგულაციები. ამ სახელმძღვანელო წესებზე დაყრდნობით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაადგინა შესაბამისი სალიცენზიო პირობები როგორც კომერციული მულტიპლექს პლატფორმის კონკურსში გამარჯვებული კომპანიის - "სტერეო+"-ის სალიცენზიო პირობებში,⁴ ასევე რეგიონული და ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისთვის უსასყიდლოდ გაცემული ლიცენზიის პირობებში.⁵

მიუხედავად აღნიშნული რეგულაციებისა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, უახლოეს პერიოდში, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, დეტალურად და არაორაზროვნად უნდა დადგინდეს ციფრულ საეთერო მულტიპლექსორის სიმძლავრეებთან მაუწყებლების დაშვების წესები, რომელიც დაარეგულირებს სხვა პრობლემურ საკითხებსაც. მაუწყებლობის ლიცენზიანტების მიერ ქსელთან დაშვების მოთხოვნის უფლების წარმოშობა დარეგულირებულია "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით. შემოღებულია სავალდებულო ტრანზიტიის რეგულაციები, თუმცა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდგომ ეს კრიტერიუმები უნდა შეიცვალოს და უნდა დარეგულირდეს იმგვარად, რომ თავიდან ავიცილოთ დაშვების პროცესის დროს გარკვეული გართულებები და მედია საშუალებების დაშვების შეზღუდვა.

ციფრულ საეთერო მაუწყებლობის ქსელთან დაშვების პროცესების რეგულირებისათვის არსებობს განსხვავებული მიდგომები, კერძოდ, თუ ვინ იქნება დაშვების პროცესის უშუალო მმართველი, ანუ ვინ ჩაატარებს კონკურსს და გადაწყვეტს ქსელთან დაშვების საკითხებს: თავად საქსელო ოპერატორი თუ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. აღნიშნული ეტაპის

<http://www.economy.ge/ge/media/news/cfrul-miwisze-da-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvlis-samoqmedo-gegma-darekomendaciebi>

⁴ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=115589

⁵ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 28 ნოემბრის 663/8 გადაწყვეტილება "მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ". http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=116160

დაუბრკოლებლად გადალახვაზე დიდ წილადაა დამოკიდებული საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის წარმატება და მედია გარემოს სიჯანსაღე.

2015 წლის 17 ივნისი ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის დღედ არის განსაზღვრული. 2015 წლის გაზაფხულზე უნდა დასრულდეს კომერციული მულტიპლექს პლატფორმის მშენებლობა. ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების მშენებლობის უკიდურესი ვადა 2016 წლის მარტია. მაუწყებლობის ლიცენზიანტებმა აღნიშნული პროცესისთვის მზადება უახლოეს პერიოდში უნდა დაიწყონ, რადგან პროგრამების ხარისხის ცვლილება, საკუთარი პროგრამების მულტიპლექს ოპერატორებთან ჩართვა და საეთერო ქსელში დაშვების წერტილებამდე ტრანსპორტირება, ასევე სხვა საკითხების რეგულირება დროს მოითხოვს.

ციფრულ საეთერო სამაუწყებლო ქსელთან დაშვებისა და სამაუწყებლო კონტენტის ტრანსლირების საკითხები რამდენიმე ნაწილად უნდა გაიყოს, რადგან არსებული და მოქმედი სამაუწყებლო ლიცენზიანტების ქსელში განთავსების საკითხები დარეგულირებულია სხვაგვარად, როგორც შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" კუთვნილ ე.წ. "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მულტიპლექს პლატფორმაში, ასევე კერძო საეთერო მაუწყებლობის მულტიპლექს პლატფორმებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია არსებული მაუწყებლობის ლიცენზიანტების შემდგომი რეგულირების საკითხები. სიხშირული რესურსის გამოყენება დარეგულირდება "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. რაც შეეხება კონტენტის წარმოების და გავრცელების უფლებას, მისი მინიჭება შესაძლოა მოხდეს არსებული საერთო ავტორიზაციის წესით, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით, რომელიც სამაუწყებლო სფერო საქმიანობას უნდა დაუკავშირდეს.⁶ რეგულირების ფარგლები უნდა შეიზღუდოს ამ კონტენტის გავრცელების ტექნოლოგიის მიხედვით. არ უნდა იყოს იდენტური მიდგომები ინტერნეტით და საეთერო ქსელით გავრცელების შემთხვევაში.

საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის განკუთვნილი შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" მულტიპლექსორის ის თავისუფალი რესურსი, რომელიც არ იქნება გამოყენებული საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხების

⁶ https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=32866&lang=ge

ტრანსლირებისთვის, ასევე აჭარის ტელევიზიისა ტრანსლირებისთვის, 2015 წლის 1 აპრილიდან ანალოგური მაუწყებლობის გამორთვამდე ან კომერციული საეთერო მაუწყებლობის ქსელების ამოქმედებამდე, შესაძლოა დაიკავონ მოქმედმა საეთერო მაუწყებლებმა. აღნიშნული პრივილეგიით მხოლოდ ის მაუწყებლები ისარგებლებენ, რომლებიც ეროვნული დაფარვის საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიებს ფლობენ. თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა რეგიონული მაუწყებლების გავრცელებაც.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ქსელთან მაუწყებლების დაშვების იერარქია და დაშვების გარკვეული პირობები, რომლებიც დადგინდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამართლებრივი აქტის საფუძველზე.⁷ აღნიშნული აქტი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №206 განკარგულებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაშია ასახული.⁸ ამ აქტებში ჩამოყალიბებული პირობები წარმოადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს შემდგომში მიღებული ყველა ნორმატიული აქტი, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებებიც შესაბამის კანონებში.

"სავალდებულო ტრანზიტის" არსებულმა რეგულაციამ გვიჩვენა, რომ გარკვეული პრობლემები შესაძლოა წარმოშვას ტექნიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. პრობლემები შესაძლოა მომდინარეობდეს ე.წ. სანიმუშო შეთავაზების პირობების გამო. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ვფიქრობთ, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ეტაპზე, უნდა გააკონტროლოს დაშვების პირობების შესაბამისობა კანონმდებლობასთან და სალიცენზიო პირობებთან. საქსელო პროვაიდერის მიზეზით წარმოშობილი დავის დადგენილ ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა შეეძლოს ქსელთან დაშვების ხელშეკრულების პირობების დადგენა, როგორც ეს სატელეკომუნიკაციო ურთიერთჩართვის პირობებზე შეუთანხმებლობისას ხორციელდება.

⁷ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები. 2014 წლის აპრილი. <http://www.economy.ge/ge/media/news/cifrul-miwisze-da-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvli-samoqmedo-gegma-da-rekomendaciebi>

⁸ http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115066

წარმოდგენილი კვლევა შეეხება არსებული პერიოდისათვის დადგენილ რეგულაციებსა და პროგრამებს, რომელიც უკავშირდება მულტიპლექს პლატფორმაში არხების განთავსების პროცესებს, ასევე მოიცავს იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომელთა გამოწვევები და რეგულირების მოდელი მეტნაკლებად ახლოსაა საქართველოს კანონმდებლობასთან და ქვეყნის მიერ არჩეულ ბიზნეს მოდელთან.

2. მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის 176/10 გადაწყვეტილება განსაზღვრავს გარკვეულ ვალდებულებებს კომერციული საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიანტებისათვის.

კომერციული მულტიპლექსორის №MUX-A ლიცენზიის მფლობელი - შპს "სტერეო+" ვალდებულია, ქსელის ექსპლუატაციაში გაშვება უზრუნველყოს არაუგვიანეს 2015 წლის 17 ივნისისა, ხოლო 13 დღის ვადაში, ანუ 2015 წლის 30 ივნისამდე უნდა დაასრულოს ყველა მსურველი მაუწყებლის ქსელში დაშვება და მათი სატელევიზიო სიგნალის გავრცელება სალიცენზიო არეალში. 90%-იანი დაფარვისა და ე.წ. ჩრდილოვანი ზონების დაფარვისათვის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2016 წლის 1 იანვარი. მოწვევის ოფერტის გამოქვეყნების შემდგომ მაუწყებლებს მიეცემათ შესაძლებლობა, დაშვების მოთხოვნით მიმართონ საქსელო ოპერატორს. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ვადა საკმაოდ მცირეა და სავარაუდოდ არ იქნება საკმარისი მოლაპარაკებებისათვის და კონტრაქტების გაფორმებისთვის. სასურველია, რომ პროცესი ბევრად უფრო ადრე დაიწყოს.

შენიშვნის სახით, მარეგულირებელი კომისიის 2014 წლის 31 მარტის 176/10 საკონკურსო გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია, რომ მაუწყებელთა მხრიდან ღია საეთერო ქსელში დაშვების მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილი იქნება, გამოიყენოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებული თავისუფალი რესურსი მომხმარებელთათვის ფასიანი სატელევიზიო მომსახურების (ტრანზიტული მაუწყებლობის) მისაწოდებლად. მოცემული უფლება შეზღუდულია ვალდებულებით - მოთხოვნის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელის მიერ უნდა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ან/და ავტორიზებული მაუწყებლის ქსელში დაშვებისა და ღია ეთერით გავრცელების უპირობო უზრუნველყოფას.

კომისიის მიერ მითითებული განცხადება არ აწესებს მიმართვის წარდგენისათვის რაიმე ვადას, ან ამგვარი მაუწყებლის რეზერვაციის პროცენტულ კვოტას.

ამგვარი ვალდებულებები ფასიანი სატელევიზიო კონტენტისთვის განკუთვნილი MUX-C, MUX-D და MUX-E ლიცენზიების ნაწილში დადგენილი არ არის, რაც კონკურენტი ფასიანი სატელევიზიო კონტენტის განმათავსებლების უფლებებს რეგულირების გარეშე ტოვებს. მიუხედავად აღნიშნული რეგულაციისა, შპს "სტერეო+"-მა გამოყო დამატებითი რესურსი ფასიანი სერვისებისთვის განკუთვნილი საქსელო რესურსიდან, უფასოდ ტრანსლირებადი სატელევიზიო პროგრამების გასავრცელებლად მისი მულტიპლექს ქსელის მეშვეობით.

ტელეკომუნიკაციების სფეროს დასარეგულირებლად 2009 წელს შევიდა ცვლილებები ევროკავშირის დირექტივებში. ცვლილებები, სხვა ფაქტორების გარდა, ციფრული ტრანზიტული ქსელების რეგულირების აუცილებლობითაც იყო განპირობებული.⁹ ეს ცვლილებები, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში სრულად არ არის იმპლემენტირებული. მიუხედავად აღნიშნულისა, მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საკმაოდ ეფექტურ სამართლებრივ ბერკეტებს ანიჭებს სამაუწყებლო ქსელთან დაშვების პრობლემური საკითხების დასარეგულირებლად მედია ბაზარზე ინტერვენციისათვის.

ციფრული საეთერო მაუწყებლობისთვის განკუთვნილი საეთერო ქსელის საქსელო ინფრასტრუქტურასთან დაშვების სამართლიანი და კონკურენტული პირობების უზრუნველსაყოფად ვფიქრობთ, რომ უფრო დეტალურად უნდა მოხდეს ფასებისა და ქსელით სარგებლობის სხვა პირობების გამჭვირვალობის რეალიზების გზებისა და ოფერტზე მოწვევის სხვა არსებითი პირობების ჩამოთვლა.

სამაუწყებლო სიგნალების ტრანსლირების ქსელთან დაშვების პირობები დარეგულირებული უნდა იყოს სატელეკომუნიკაციო სფეროში ურთიერთჩართვის რეგულირების იდენტურად; ფასებისა და დაშვების რეგულირება კი უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ არსებული წინასწარი რეგულირების ფარგლებში არსებული პირობების მიუხედავად, ბაზარი თავად ვერ დაარეგულირებს აღნიშნულ პრობლემებს.

⁹ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32002L0019:EN:NOT>

კონკურენციის რეგულირების სწორმა პოლიტიკამ, კარგად დაგეგმილმა და დროულმა ღონისძიებებმა, უნდა უზრუნველყოს დაშვების პირობების მაქსიმალური გამჭვირვალობა, დაშვების არადისკრიმინაციულობა და ქსელის ყველა საჭირო ელემენტზე წვდომა ხარჯებზე ორიენტირებული და გონივრული ტარიფებით. ეს საკითხი უფრო აქტუალურია რეგიონული და ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმებთან დაშვების ტარიფების მიმართულებით. ეს ღონისძიებები ჩამოაყალიბებს კონკურენტულ და სამართლიან პირობებს მაუწყებლებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ბაზრის განვითარებას, უზრუნველყოფს მომხმარებლებისათვის მიწოდებული სერვისების ფართო არჩევანს და რაც ყველაზე მთავარია, წაახალისებს კონკურენციას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.¹⁰

მულტიპლექსში განსათავსებელი არხების შერჩევასთან დაკავშირებით ორი მიდგომა არსებობს: პირველი ქვეყნების ჯგუფში (სლოვენია, ხორვატია, მონტენეგრო) არხების შერჩევა ხდება საკონკურსო პროცედურების რეგულირებით, რომელიც ძალიან ჰგავს ანალოგიური მაუწყებლობის ლიცენზირებისას გამოყენებულ **(მარეგულირებელი ორგანოს მიერ წარმოებული საკონკურსო მოდელი)** მოდელს. მეორე ჯგუფის ქვეყნებში (მაგ: იტალია, ავსტრია, უნგრეთი, ალბანეთი) მთელ რესურსს, როგორც ერთიანს, მართავს მულტიპლექს ოპერატორი **(ფორმალური კონკურსი, რომელსაც ატარებს საქსელო რესურსების მფლობელი ოპერატორი)**. ამ შემთხვევაში მულტიპლექს ოპერატორს აქვს მის ქსელში მაუწყებლების განთავსების უფლების გაცემასთან დაკავშირებით ზოგიერთი შეზღუდვა, ისეთი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, როგორიცაა კონტენტის მრავალფეროვნება და პლურალიზმი და სხვა საკითხები.

10

წესების¹¹ ან დამატებითი პროცედურების გავლის, ე.წ. მულტიპლექსში განთავსების ლიცენზიის გაცემის გზით (მაგ: ავსტრია).

იტალიაში კონკრეტული ზომებია მიღებული, რათა გარანტირებული იყოს დამოუკიდებელი არხების გავრცელება, ანუ იმ არხებისა, რომელიც არ მიეკუთვნება ციფრულ საეთერო ქსელის ოპერატორებს. ასეთი ზომები მიზნად ისახავს დაშვების შეფერხებების თავიდან აცილებას, რომელიც ლოგიკურია, რომ შეიქმნას საკუთარი არხების მქონე საქსელო ოპერატორების მიერ.

მულტიპლექსორში განსათავსებლად არხების შერჩევისას კონკრეტული პრობლემები წარმოიშვა სლოვენიაში, შესაბამისად, ქართულ რეალობასთან მიმართებით საინტერესოა აღნიშნული ქვეყნის პრაქტიკა. სლოვენიაში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია ითვალისწინებს, რომ MUX A, რომელსაც მართავს საზოგადოებრივი მაუწყებელი („RTV სლოვენია“), პირველ რიგში გამოყენებული უნდა იყოს არაკომერციული საზოგადოებრივი მაუწყებლობის არხებისათვის. მეორე მხრივ MUX B-ს ოპერატორი „ნორკინგი“ (Norkring) შეირჩა საჯარო ტენდერის გზით, რომელიც მიზნად ისახავდა მომსახურების გადაცემას მაუწყებლის მიერ შემოთავაზებული კომერციული არხებისათვის. გარდამავალ პერიოდში, ყველა მაუწყებლის პროგრამა, საჯაროც და კომერციულიც გადაიცემოდა MUX A-ს მეშვეობით, რომელიც ადრე ამოქმედდა და ფარავდა მოსახლეობის უმრავლესობას.

პრობლემა მდგომარეობდა შემდგომში: მიუხედავად MUX B-ს არსებობისა, კომერციული მაუწყებლები ირჩევდნენ MUX A-ს, რადგან საზოგადოებრივ მაუწყებლის ქსელს ჰქონდა უფრო კარგი დაფარვის პირობები და უფრო იაფი ტარიფები, ვიდრე მეორე მულტიპლექს ოპერატორს. „ნორკინგმა“ მიიჩნია, რომ არაკეთილსინდისიერ კონკურენცია იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან, რითაც პრობლემა შეექმნა მისი ბიზნეს მოდელის არსებობას. „ნორკინგს“ დაკისრებული ჰქონდა მკაცრი სალიცენზიო პირობები და რეგულირება ხდებოდა სხვადასხვა მიმართულებით, ხოლო საზოგადოებრივი მულტიპლექს - „RTV სლოვენიისთვის“ საჭირო იყო მხოლოდ ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვა. „ნორკინგის“ საჩივრის შემდგომ, სახელმწიფომ შეიტანა შესწორება 2011 წლის სამაუწყებლო აქტში, რომელიც RTV სლოვენიას უკრძალავდა კომერციული

¹¹ მაგ. უნგრეთის გავიფრულების პრაქტიკა. იხ: https://www.itu.int/ITU-D/tech/OLD_TND_WEBSITE/digital-broadcasting_OLD/Bulgaria_Assistance_Transition/Hungary/Hungary_Web.pdf

პროგრამების მისი მულტიპლექსორით გავრცელებას. ამგვარი რეგულაცია შეესაბამება ევროკავშირის ე.წ. ავტორიზაციის დირექტივის მე-5 მუხლს, რომელიც საშუალებას იძლევა, გამონაკლისის სახით, ღია პროცედურებით დაიშვას სამაუწყებლო სიხშირის გამოყენების უფლება.¹²

არანაკლებ საინტერესოა ის პრაქტიკა და გამოცდილება, რომელიც არსებობს მაუწყებლებსა და საქსელო მულტიპლექს პროვაიდერებს შორის. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი ზრდის კონცენტრაციის რისკებს, რადგან, როგორც წესი, საქართველოს გეოგრაფიული ზომისა და სარეკლამო ბაზრის მოცულობის მსგავს ქვეყნებში მაღალი ღირებულების, ბაზრის მოცულობისა და ქსელი აგების სირთულის გამო მხოლოდ რამდენიმე გადამცემი ქსელი არსებობს; შესაბამისად, უნდა მოხდეს ამგვარად ჩამოყალიბებული პრაქტიკის შეცვლა, რათა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ დომინანტმა ოპერატორებმა ან/და ოპერატორებმა ძალაუფლება ბოროტად არ გამოიყენონ. **ევროკავშირის ე.წ. დაშვების დირექტივაში ხაზგასმულია, რომ ყველა მოთხოვნა სამაუწყებლო სიხშირის გავრცელებასთან დაკავშირებით უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად და უნდა იყოს შესაბამისობაში კომერციულ ურთიერთობებთან.**¹³

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ პირობების განსაზღვრა, მაგრამ როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები პირობებზე შეთანხმების ძალაუფლების ფლობის კუთხით და როდესაც რიგი კომპანიებისა იყენებს სხვების ინფრასტრუქტურას, აუცილებელია პროცესის წარმართვა ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მეთვალყურეობითა და დადგენილი წესებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზარზე კონკურენცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი გადამცემი ქსელების და ინფრასტრუქტურის რაოდენობა მცირეა.

¹² აღნიშნული ჩანაწერით დადგენილია გამონაკლისების უფლება სამაუწყებლო სიხშირეების მისაღებად, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი განკუთვნილია ღია საეთერო მაუწყებლობისთვის და როდესაც ეს აუცილებელია კანონით დადგენილი იმ მიზნების მისაღწევად რომელსაც განსაზღვრავს ევროკავშირის კანონმდებლობა.

¹³ DIRECTIVE 2002/19/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 7 March 2002 on access to, and interconnection of, electronic communications networks and associated facilities (Access Directive) amended by Directive 2009/140/EC <http://www3.ebu.ch/files/live/sites/ebu/files/Knowledge/Media%20Law/Reference%20Texts/EU%20-%20Telecom/REF%20EU-DIR2002.19.EC.pdf>

ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უმეტესობაში, მულტიპლექსორთან დაშვების პირობები შესაბამისობაშია ევროკავშირის დაშვების დირექტივის მოთხოვნებთან. ამ კონტექსტში საინტერესოა სლოვენიის მიდგომა, სადაც მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია დაარეგულიროს პირველი მულტიპლექს ოპერატორის ქსელთან დაშვების ფასები.

პირველ რიგში, მიზანშეწონილია განვიხილოთ ის საკითხი, თუ ვინ და რომელ ეტაპზე უნდა მოახდინოს მაუწყებლების კონტენტის საეთერო ციფრულ ქსელში განთავსების საკითხების რეგულირება.

ისეთ ქვეყნებში როგორიცაა საფრანგეთი,¹⁴ ბელგია (ფრანგული ნაწილი), გერმანია, ფინეთი და სლოვენია, ეროვნული არხების განაწილება მულტიპლექსორში რეგულირდება მარეგულირებლის მიერ (ან მთავრობის მიერ, როგორც ეს ესტონეთში მოხდა). ეს მოდელი მოიცავს იმგვარ პრაქტიკას, როდესაც მარეგულირებელი პირდაპირ კარნახობს თითოეულ მულტიპლექს ოპერატორს კონკრეტული არხი სად და რა პირობებში განთავსდეს. შვედეთმა ამ მეთოდოლოგიით დაარეგულირა არხების ქსელში განთავსების საკითხი, თუმცა, შემდგომ რეგულაციის საჭიროების არარსებობისა და განთავსების სისტემის სირთულის გამო უარი თქვა ამ მოდელის გამოყენებაზე.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რეგულირების პირველ ეტაპზე (2015-2017 წლები) უნდა მიღოს მარეგულირებელი ნორმები იმ შემთხვევისათვის, თუ წარმოიშვება გარკვეული პრობლემები არხების განთავსებასთან დაკავშირებით.

მეორე მიდგომის შესაბამისად, (ჩეხეთი 2012 წლის შემდგომ, ლატვია, სლოვაკეთი, დანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, პორტუგალია) საქსელო რესურსის განკარგვა და მაუწყებლების დაშვების პროცესის მართვა ხდება უშუალოდ საქსელო ოპერატორების მიერ სრულად და საქსელო ოპერატორები სარგებლობენ გარკვეული თავისუფლებით მოცულობის გამოყენებისა და არხების განაწილებისას. მაუწყებლებს არ უწევთ ლოდინი სატენდერო პროცედურების დამთავრებისათვის. ავტორიზაცია, რომელსაც ყველა აპლიკანტი იღებს პროფესიული და ეკონომიკური სტანდარტების დაკმაყოფილების შემდგომ, საკმარისია იმისთვის, რომ წარდგენილი იყოს

¹⁴ DIGITAL TERRESTRIAL TELEVISION EBU TECHNICAL REVIEW , DTT The roll-out of in France– 2008. Louis and M. Roger Aurélien Louis and Matthieu Roger Conseil supérieur de l’audiovisuel (CSA) https://tech.ebu.ch/docs/techreview/trev_2008-Q1_csa-roger.pdf

კომერციულ ქსელთან დაშვების მოთხოვნა მულტიპლექს ოპერატორისათვის. ამგვარი მიმართვა არ არის საკმარისი ხელშეკრულების დასადებად, რადგან აუცილებელია მოლაპარაკების წარმოება MUX ოპერატორთან და შეთანხმება დისტრიბუციის და სხვა არსებით და სპეციფიკურ პირობებზე. არსებული შეზღუდვები (must carry, რეზერვირებული მოცულობები გარკვეული კატეგორიის მაუწყებლებისათვის და ა.შ.) დაკისრებულია, როგორც ოპერატორის მნიშვნელოვანი ვალდებულება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

მას შემდეგ, რაც პირველადი განაწილების პროცესი დასრულდა, ევროპული ქვეყნების მარეგულირებლებმა განსაზღვრეს MUX-ის მოცულობის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელი იყო არსებული სამაუწყებლო არხებისათვის, ასევე დაადგინეს, თუ რა რაოდენობის არხები უნდა ყოფილიყო თითოეულ MUX-ზე.

საფრანგეთს, ბელგიის, გერმანიის, ფინეთის, შვედეთის მიერ ციფრულ საეთერო მაუწყებლობის ქსელში სატელევიზიო არხები განაწილებული იყო სახელმწიფოს მიერ. ამ განაწილებისას პირველ რიგში დაკმაყოფილდა ანალოგური მაუწყებლების ინტერესები. შემდგომ, დამატებითი **ციფრული არხების განთავსება¹⁵ განხორციელდა კონკურსის წესით, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:**

- კონტენტის შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესი და ციფრული საეთერო მაუწყებლობის განვითარებისათვის ხელშეწყობის შესაძლებლობა;
- კონკურენტუნარიანობა და კონტენტის მრავალფეროვნება;
- მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა, სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების და უმცირესობების ინტერესების, ასევე მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვა;
- მედია სექტორში საქმიანობის გამოცდილება;
- აუდიოვიზუალური და კინოპროდუქციის პროდუქციის წარმოების და მიწოდების ვალდებულებები;
- ტერიტორიის დაფარვის ვალდებულებები;
- მისაწოდებელი სერვისების მდგრადობა და კომპანიის დაფინანსების მეთოდებისა და გზების განსაზღვრა;
- ფასიანი სატელევიზიო სერვისები თუ უფასოდ ტრანსლირებადი სერვისები.

¹⁵ შენიშვნა: არსებული სამაუწყებლო ზონის გაფართოვება შესაძლოა არ იყოს ჩათვლილი კონკურსში მონაწილეობის საფუძველად.

მეორე მიდგომის შესაბამისად (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, დანია, იტალია) ნებართვას დაშვებაზე გასცემს და მულტიპლექსორის მოცულობის მართვას ახორციელებს ქსელის ოპერატორი. მათ მიენიჭათ შედარებითი თავისუფლება მულტიპლექსორების მოცულობის გამოყენებისა და არხების შერჩევისას, რომლებიც უნდა განთავსებულიყო კონკრეტულ მულტიპლექსორში. ამ მოდელის მიხედვით, მულტიპლექს ოპერატორი განისაზღვრა, როგორც მთავარი მაკონტროლებელი და მისი რესურსის განმკარგველი, რომელიც წყვეტდა არხების განთავსების საკითხებს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საზოგადოებრივი ინტერესების კრიტერიუმი არის ჯერ კიდევ შენარჩუნებული ამ მოდელში, ისეთი როგორიცაა კონკურენცია, მრავალფეროვნება და პლურალიზმი. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით გარკვეული აკრძალვები მოქმედებს შემდეგ კონტექსტში:

- “must-carry” ვალდებულებები MUX ოპერატორებისთვის, მიაწოდონ სპეციფიკური პროგრამები მომხმარებლებს;
- ფასების გამჭვირვალობა, რომელიც ავალდებულებს MUX ოპერატორებს გაასაჯაროონ კონკრეტული ინფორმაცია, კერძოდ MUX მოცულობის ფასები, ტექნიკური სპეციფიკაცია, ქსელის ინტერფეისის ინფორმაცია, წესები და პირობები მიწოდებისათვის და გამოყენებისათვის;
- ხარჯზე ორიენტირებული ფასები, (ფასები უნდა ემყარებოდეს MUX ოპერატორის მიერ გაწეულ ხარჯებს და ინვესტიციებს. მან უნდა დაადგინოს გონივრული ტარიფი, რომელიც მისცემს დაკავებულ კაპიტალზე გონივრულ უკუგებას, ბაზრის რისკების გათვალისწინებით);
- არადისკრიმინაციული პრინციპები ოპერატორებს შორის, რომელიც ააცილებს ბაზარს განსხვავებულ ტარიფებსა და პირობებს;

რიგ შემთხვევებში მარეგულირებელმა ორგანოებმა დაადგინეს სპეციალური რეგულაციები კომერციული პირობებისათვის MUX ოპერატორებსა და მაუწყებლებს შორის. ამ კატეგორიის ქვეყნებში კომერციული პირობები, როგორც წესი დგინდებოდა MUX ოპერატორების მიერ.

იმ ქვეყნებში, სადაც მაუწყებლების შერჩევა ხდება კონკურსის მეშვეობით, (ფინეთი, გერმანია, შვედეთი, ესტონეთი, ხორვატია, სლოვენია, ლიტვა, ბელგია) ლიცენზირებისათვის ჩამოყალიბებულია დადგენილი რეგულირების ანალოგური მიდგომა, რომლის ფარგლებშიც არხების განთავსების საკონკურსო პირობებში გაითვალისწინება საზოგადოებრივი ინტერესები - მედია პლურალიზმი და კონტენტის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. ამ მეთოდოლოგიით შერჩევა

მოითხოვს მაღალი ხარისხის კონტროლს.¹⁶ მაგალითისათვის, სლოვენიაში არსებული მარეგულირებელი კომისია(APEK), მაუწყებლობის საბჭოსთან ერთად,(the Broadcasting Council) პლურალიზმის, მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ადგენს სპეციალურ პირობებს პროგრამულ კონტენტთან დაკავშირებით. ანალოგიური მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემისათვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენლია სამაუწყებლო პრიორიტეტები 10 ციფრული ზონის მიხედვით. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია მათი გადახალისება, საკვლევი პანელის გაფართოვება და მეტი საჯაროობა, მეტი კონკრეტიკა.

საფრანგეთმა ციფრული მაუწყებლობაზე გადასვლის გამო დადგინა ახალი, სპეციალური კრიტერიუმები ლიცენზირებისთვის, რომელიც გამოიყენებოდა საეთერო მაუწყებლობის უფლების მინიჭებისთვის:

- შესაძლებლობა იმისა, რომ დაკმაყოფილდეს ფართო საზოგადოების მოთხოვნები და მოლოდინები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ციფრული საეთერო მაუწყებლობის სწრაფი განვითარება;
- აუცილებლობა იმისა, რომ შენარჩუნდეს კონკურენცია და კონტენტის მრავალფეროვნება;
- შენარჩუნდეს პლურალიზმი და სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნება;
- კანდიდატების გამოცდილება;
- აუდიოვიზუალური და კინემატოგრაფიული ნაწარმოებების წარმოების და დისტრიბუციის პირობები და ვალდებულებები;
- ვალდებულებები ტერიტორიული მოცვის შესახებ;
- ამოცანების თანხვედრა და შეთანხმებულობა სერვისების არჩევანის და დისტრიბუციის კონსოლიდაციისათვის;
- სერვისის დაფინანსების და განვითარების პერსპექტივები.

ფინეთში, ტელერადიო ოპერირების წესების მე-10 მუხლის შესაბამისად, (Act on Television and Radio operations) როდესაც ხდება ავტორიზაციის დეკლარაციის წარდგენა, ლიცენზიის გამცემმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს:

¹⁶ MAVISE press release, 2010 a milestone year for DTT in Europe, 11 October 2010. http://www.obs.coe.int/about/oea/pr/mavise_oct2010.html

- აპლიკანტის კონტენტის დაფარვის სავარაუდო არეალი;
- გამოხატვის თავისუფლების განვითარების მიზნებთან თანხვედრაში პროგრამული მრავალფეროვნების საკითხები;
- პროგრამების მრავალფეროვნება;
- საზოგადოების სპეციალური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება.

ხორვატიაში,¹⁷ ადგილობრივი და რეგიონული არხები ვალდებულნი არიან ს ლოკალური ახალი ამბების გადაცემები განათავსონ პროგრამულ ბადეში.

ქვეყნები, რომლებსაც დაშვების უფლება გადატანილი აქვთ მულტიპლექს პლატფორმის საქსელო ოპერატორებზე, (დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, იტალია, პორტუგალია, სლოვაკეთი, ლატვია) აყალიბებენ ახლებურ მიდგომას ამ საკითხის რეგულირებისას, რომლის შესაბამისად ოპერატორი გარკვეულწილად ითავსებს მარეგულირებელი კომისიის ფუნქციას. თუმცა ეს მიდგომა არ ნიშნავს, რომ ციფრული საეთერო პლატფორმით გავრცელების საკითხი სრულად მინდობილია ბაზრის მოთამაშეებისათვის. საჯარო რეგულაციით დადგენილია წესები, რომელიც იცავს პლურალიზმს, მრავალფეროვნებას და კონკურენტული დაშვების პირობებს საეთერო საქსელო ინფრასტრუქტურასთან. ამგვარი ჩანაწერია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცხადებულ საკონკურსო პირობებში და შესაბამისად, ეს პირობები აისახა სალიცენზიო პირობებში.¹⁸

ნორვეგიაში მულტიპლექსირების ლიცენზია მოიცავს მთელ რიგ ვალდებულებებს. პირველ რიგში, ეს შეეხება სიხშირეების გამოყენების საკითხებს, რომელიც მოიაზრებს ფართო საზოგადოების მრავალფეროვან სატელევიზიო გადაცემებთან წვდომის ვალდებულებას. გარდა ამისა, დადგენილია, რომ იმ შეთხვევაში, თუ ქსელთან დაშვების მოთხოვნის განხილვა დიდ ხანს გრძელდება საქსელო ინფრასტრუქტურის მფლობელ კომპანიაში, ხოლო მოთხოვნა ამ სიმძლავრესთან წვდომაზე დაბალია, ითვლება, რომ ადგილი აქვს ხელოვნურ გაჭიანურებას და სახელმწიფო პირდაპირ ერევა ამ პრობლემის მოგვარების პროცესში.

იტალიის მარეგულირებელმა (AGCOM) დაადგინა სოციალური პროცედურა,¹⁹ რომლის შესაბამისადაც, საქსელო ოპერატორი, რომელსაც ჰქონდა საკუთარი

¹⁷ Central and Eastern European Regional Working Group. Croatia digital Tv progres.

<http://www.ceeregionalworkinggroup.net/page.php?33>

¹⁸ http://epa3-production.s3.amazonaws.com/attachments/files/817/original/DTT_summary_answers_final_revised.pdf?1323685476

¹⁹ AGCOM გადაწყვეტილება N449/08/CONS, www.agcom.it/Default.aspx?message=downloadpdf&DocID=137

ანალოგური მაუწყებლების ლიცენზია, ვალდებულია, მის კუთვნილ ციფრულ საეთერო ქსელში დაარეზერვოს მოცულობის 40% სხვა მაუწყებლებისათვის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პირობებით დაშვებისთვის. აღნიშნული პროცედურის შედეგად შემცირდა ბარიერები, რომელიც შესაძლოა შეექმნათ ვერტიკალურად ინტეგრირებულ პროვაიდერებს, მათ ქსელში ახალი შემომსვლელების განთავსებისას, და შეეთავაზებინათ უარესი პირობები, ვიდრე საკუთარი არხების ტრანსლირებისთვის ჰქონდათ დადგენილი.

პორტუგალიაში ფასიანი სერვისებისათვის განკუთვნილი მულტიპლექსორებისთვის დადგენილია, რომ მონოპოლისტებმა მოახდინონ სამაუწყებლო და სატრანსპორტო ქსელის რეზერვაცია რეგიონალური სატელევიზიო არხებისა და საგანმანათლებლო კონტენტისთვის. აღნიშნული ვალდებულება განისაზღვრა კანონმდებლობით, ასევე შეთავაზების განხორციელებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული **პორტუგალიურ ენაზე არსებული ევროპული წარმოების პროდუქციის განთავსების საკითხებიც**. პირობები, რომელიც ხელს უწყობს ციფრული მაუწყებლობის ფართო და სწავ გავრცელებას და ტექნიკურად ინოვაციური გადაწყვეტების დანერგვას, დეტალურად დარეგულირდა დიდ ბრიტანეთშიც, სადაც თოთოეულ მულტიპლექს ოპერატორს აქვს ძირითადი მინიმალური ვალდებულებები. ეს ვალდებულებები, როგორც წესი, უკავშირდება მაუწყებლების უფლებებს, რომელიც ასახულია საკონკურსო პირობებში. მულტიპლექსირების ლიცენზიები მოიცავს პირობებს, რომლის შესაბამისადაც სერვერები იქნება შეთავაზებული სხვადასხვა ინტერესების და გემოვნების მაცურებლისათვის.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სამომავლო რეგულაციაში შესაძლოა, მოთხოვნილ იქნეს მომსახურების უკეთესი ხარისხით გავრცელების კრიტერიუმიც. უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შესაბამისი სამართლებრივი აქტით დაადგინოს მულტიპლექსორის სიმძლავრეებთან წვდომის უფრო დეტალური პირობები.²⁰ აღსანიშნავია, რომ გარდამავალ პერიოდში და მის შემდგომაც, სახელწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ უნდა მოხდეს დაშვების პრიორიტეტულობის შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

²⁰ Recommendation of the Committee of Ministers to member states on measures to promote the democratic and social contribution of digital broadcasting COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS. Rec(2003)9. [https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=Rec\(2003\)9&Language=lanEnglish](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=Rec(2003)9&Language=lanEnglish)

- პრიორიტეტულად უნდა მოხდეს იმ მაუწყებლების დაშვება, რომლებიც საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობდნენ ანალოგური მაუწყებლობის გამორთვამდე;
- პირველ ორ მულტიპლექსორში არხების განთავსებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არაკომერციულ მაუწყებლებს, ასევე ადგილობრივი წარმოების და უფასოდ გავრცელებად არხებს;
- უპირატესობა უნდა მიენიჭოს მაუწყებლებს, რომლებმაც უნდა განახორციელონ პრიორიტეტული მიმართულებების კონტენტის ტრანსლირება.

დიდ ბრიტანეთში საეთერო მაუწყებლობის ქსელის აგების ლიცენზიები გაიცემოდა 12 წლით, რომლიც განახლებადი იყო იგივე ვადით. სატელიტურ ან საკაბელო პლატფორმასთან შედარებით დადგენილი იყო ბევრად უფრო მკაცრი მოთხოვნები პროგრამულ მრავალფეროვნებასთან და ადგილობრივი პროგრამების წარმოებასთან დაკავშირებით. იდენტური პირობებით წარდგენისას უპირატესობა ენიჭებოდა მას, ვინც განაცხადს პირველი შეიტანდა. ფასდებოდა ასევე ევროპული წარმოების პროგრამების მიწოდების, დამოუკიდებელი სტუდიების პროდუქციის დაშვების, სუბტიტრირების, ჟესტების ენის, აუდიო აღწერის გამოყენებასთან (audio description) დაკავშირებით.

ქვემოთ წარმოდგენილია ცალკეული ქვეყნების პრაქტიკა.

3.1 ალბანეთი

ალბანეთში ციფრული მაუწყებლობის კანონით²¹ პირველი რიგის მიზნებად განსაზღვრულია კულტურული მრავალფეროვნების და მედია პლურალიზმის შენარჩუნება და განვითარება, ციფრულ საეთერო პლატფორმაზე გადასვლის შემდგომ.²² აღნიშნული მიზნის შესასრულებლად აუცილებელია კონკრეტულად და არაორაზროვნად გაიწეროს ის კრიტერიუმები, რომელიც კონტენტის განთავსების პროცესის წარმართვისას უნდა იყოს გათვალისწინებული. ტელე-რადიო მაუწყებლობის ლიცენზირების საკითხები რეგულირდება ციფრული მაუწყებლობის კანონის მე-5 მუხლით. ლიცენზია შესაძლოა, მიენიჭოს იურიდიულ პირს რადიოს და

²¹ 2007 წლის 28 მარტის კანონი No. 9742, “On Digital Broadcasting in the Republic of Albania”

²² <http://ama.gov.al/images/stories/ligji.pdf>

ტელევიზიის ეროვნული საბჭოს²³ - ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ. ლიცენზია აუცილებელია მიწისზედა საეთერო და თანამგზავრული პლატფორმით მაუწყებლობის უფლების მისაღებად.

მაუწყებლებთან დაკავშირებული საქსელო ვალდებულებები განსაზღვრულია ციფრული მაუწყებლობის კანონის მე-6 მუხლით. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამების მწარმოებლების დაშვება ქსელის ოპერატორის მიერ **უზრუნველყოფილი იყოს კეთილსინდისიერი, გონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით**. ეს ასევე შეეხება პირობითი დაშვების სისტემების, გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისების და ელექტრონული პროგრამული გზამკვლევის ოპერატორების დაშვებასაც. ამ საკთხების მოწესრიგება უნდა მოხდეს ევროკავშირის დაშვების დირექტივის²⁴ პირობების შესაბამისად. საქსელო ოპერატორმა უნდა გააკონტროლოს, რომ კოდირებული ფორმით გავრცელდეს ის კონტენტი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ კონკრეტული აუდიტორიისათვის.

საქსელო და ციფრული საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიები ავალდებულებს ლიცენზიის მფლობელს, რომ უზრუნველყონ სულ მცირე 50%-იანი მოცულობითი კვოტის გამოყოფა უფასოდ ტრანსლირებადი სატელევიზიო კონტენტის მისაწოდებლად მომხმარებლისათვის.

ციფრული მაუწყებლობის კანონის პირველი დანართის შესაბამისად დადგენილია, რომ ახალ ამბებსა და სპეციალურ გამოშვებებში მათ (ეროვნული და ადგილობრივი ტელერადიო მაუწყებლობის ლიცენზიანტებმა) უნდა მიაწოდონ მაყურებელს ინფორმაცია ფაქტებისა და მოვლენების შესახებ მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად, იმგვარად, რომ ჩამოყალიბდეს თავისუფალი აზროვნება, რომელიმე მხარის ინტერესებისგან მიუკერძოებლად, კერძოდ, პოლიტიკური ორგანიზაციების, ეკონომიკური აქტორების, რელიგიური გაერთიანებებისგან დამოუკიდებლად. ეროვნული ან/და რეგიონული ტელერადიო კონტენტის გავრცელებისას მაუწყებლები ვალდებული არიან, რომ უსასყიდლოდ გააშუქონ მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია მათი

²³ the National Council on Radio and Television (NCRT)

²⁴ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?jsessionid=PINQTHGWQvPIGpFhqpFtGxRJc2Lx1ySMXrWCyJltWMKxTZbj6Jpvl-451414052?uri=CELEX:32002L0019>

მაუწყებლობის ზონებში ჯანდაცვასთან, გარემოს მდგომარეობასთან და სტიქიურ მოვლენებთან და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით.

3.2 ავსტრია

ავსტრიის კომუნიკაციების მარეგულირებლის (KommAustria) მონაწილეობით, 2010 წელს გადაკეთდა არსებული კანონმდებლობა აუდიოვიზუალური მედია სერვისების აქტად,²⁵ რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის რეგულაციებთან.

აუდიოვიზუალური მედია სერვისების კანონის მე-3 თავით, ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს საეთერო, მოძრავ საეთერო და თანამგზავრულ მაუწყებლობას და დაფუძნებულია ავსტრიაში, საჭიროებს ლიცენზიას, რომელსაც გაცემს მარეგულირებელი ორგანო.

იმის გამო, რომ მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა არ მოიცავს ამავდროულად ციფრული მაუწყებლობის პლატფორმის კონკრეტული არხის გავრცელების უფლებას, როგორც ეს ანალოგური საეთერო მაუწყებლობის ლიცენზირებისას ხდებოდა, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარადგინონ ხელშეკრულება, რომელიც დაარეგულირებს მულტიპლექს ოპერატორის რესურსებთან დაშვების და ტრანსლირების საკითხებს, ასევე გამოსაყენებელი სიმძლავრის შესახებ მონაცემებს. სხვა შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს ალტერნატიული ინფორმაცია საკაბელო ან სხვა სახის პლატფორმით დაგეგმილი გავრცელების და დაფარვის არეალის შესახებ. მაუწყებლის დაშვების საკითხი კონკრეტულ მულტიპლექსორში წყდება საქსელო ოპერატორის მიერ, თუმცა, იმ კრიტერიუმების და წესების მიხედვით, რომელიც დაადგინა მარეგულირებელმა ორგანომ (KommAustria). მულტიპლექს ოპერატორის მიერ წესების დარღვევის შემთხვევაში მარეგულირებელს შეუძლია ჩაერიოს დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

ავსტრიის მარეგულირებლის მიერ გაცემული ლიცენზია მაუწყებელს ანიჭებს უფლებამოსილებას მაუწყებლობა აწარმოოს საქმიანობა 10 წლის ვადით, საეთერო მიწისზედა მაუწყებლობის პლატფორმით (MUX A,B,C) ან თანამგზავრით, იმ პირობების დაცვით, რომელიც განისაზღვრა ლიცენზიაში. ეს პირობებია

²⁵ Audiovisual Media Services Act (AMD-G).

http://www.ris.bka.gv.at/Dokumente/Erv/ERV_2001_1_84/ERV_2001_1_84.pdf

მაუწყებლობის არეალი, მაუწყებლობის დრო, პროგრამული თვისობრიობა და შინაარსი.

აუდიოვიზუალური მედია სერვისების კანონის მოთხოვნის შესაბამისად ლიცენზიანტი საკონკურსო პირობებთან ერთად წარადგენს ციფრული არხების რაოდენობის და დამატებითი სერვისების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელით. საქსელო ლიცენზიის აპლიკანტი ასევე წარადგენს მაუწყებლებთან (ან კონტენტის აგრეგატორთან) გასაფორმებელი სპეციალური ხელშეკრულების პროექტს. აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად მარეგულირებელმა უზრუნველყოს შემდეგი საკითხები:

- იმავე ზონებში მაუწყებლობის უფლების არსებობა;
- ციფრული არხების გავრცელება, ისევე როგორც დამატებითი სერვისების გავრცელება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერი, არადისკრიმინაციული და თანაბარი პირობებით;
- მულტიპლექს ოპერატორებმა გაასაჯაროვონ მათი მომსახურების ტარიფები ციფრული არხების ტექნიკური გავრცელებისათვის, ასევე დამატებითი სერვისების მიწოდებისათვის, ყოველთვის პროპორციული გზით;
- ციფრული არხები და დამატებითი სერვისები უნდა იყოს ინტეგრირებული საერთო გლობალური პაკეტში იმისათვის, რომ მომხმარებელს ყველა არსებულ ციფრულ არხთან და სერვისთან კეთილსინდისიერი, თანაბარი და არადისკრიმინაციული პირობებით წვდომის შესაძლებლობა ჰქონდეს. ასევე საქსელო ოპერატორმა ყველა მაუწყებლისთვის უნდა უზრუნველყოს ამ პირობების და სერვისების წვდომის, ვადებისა და საფასურის ხელმისაწვდომობა;
- ყველა ციფრული არხი და დამატებითი სერვისი შეთავაზებული იყოს არადისკრიმინაციულად კერძოდ, მათ შესახებ გასაგები ინფორმაცია უნდა განთავსდეს იმგვარად რომ ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მესამე მხარისათვის მულტიპლექს რესურსის 50%-ს ან მეტი მოცულობის წილის გადაცემა მესამე პირზე მულტიპლექს ოპერატორის მიერ, სატელევიზიო მაუწყებელმა უნდა აცნობოს აღნიშნული ტრანსფერის შესახებ მარეგულირებელ ორგანოს წინასწარ დაგეგმილი ტრანზაქციის შესახებ. ავსტრიის მარეგულირებელმა ორგანომ (KommAustria) უნდა შეაფასოს შეცვლილი გარემოებები მაუწყებლობის კანონმდებლობის (AMD-G) მოთხოვნებთან რამდენად მოდის

შესაბამისობაში. შეფასების შედეგად მარეგულირებელმა ორგანომ შესაძლოა, შეაჩეროს ლიცენზია, თუ მულტიპლექს ოპერატორის მიერ წილის გადაცემის პირობები ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.²⁶

აუდიოვიზუალური მედია სერვისების კანონის მოთხოვნის შესაბამისად, მარეგულირებელმა ორგანომ, მულტიპლექს ოპერატორზე ლიცენზიის გაცემამდე უნდა შეაფასოს პირობები. პრიორიტეტულად მიჩნეულია ის კონტენტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსაზრებების მრავალფეროვნებას. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ავსტრიულ პრობლემებზე სპეციალიზირებულ და კონცენტრირებულ არხს. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა დაიცვას აღნიშნული მოთხოვნები და შესაბამისი ვალდებულებები დააკისროს მულტიპლექს ოპერატორს ლიცენზიის გაცემისას.²⁷

3.3 ბოსნია ჰერცეგოვინა

ბოსნია ჰერცეგოვინას გაციფრულების სტრატეგია ეფუძნება იმ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელიც ამ საკითხზე ქვეყანას აქვს გაფორმებული. ქვეყნის ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლისას დაეყრდნო ITU-ს ჟენევის 2006 წლის შეთანხმებას და 2009 წლის ცვლილებებს. ევროკომისიის მიერ, ასევე იყო გაცემული რეკომენდაციები მისი წევრი ქვეყნებისათვის, რომ ანალოგური მაუწყებლობა უნდა გამორთულიყო 2012 წლისთვის, თუმცა თავდაპირველი გეგმით, ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის ვადა იყო 2014 წელი.²⁸ აღნიშნული რეგულაციის შემდგომ ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის ვადად განისაზღვრა 2011 წელი.

2010 წლის აპრილში, ეროვნული მარეგულირებლის მიერ გამოქვეყნდა MUX A-ს გამოყენების პირობები.²⁹ თუმცა აღნიშნულ რეგულაციამდე 2008 წელს მოხდა ბოსნია-ჰერცეგოვინის წინასწარი რეგულაციების და გეგმის გამოქვეყნება,

²⁶ ავსტრიის მაუწყებლების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის 27-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად მულტიპლექს ოპერატორებმა უნდა გაავრცელონ ციფრული არხების და სარედაქციო სერვისები, და უზრუნველყონ დაშვება დაკავშირებულ მოწყობილობებთან და პირობითი დაშვების სისტემებთან, კეთილსინდისიერი, თანაბარი და არადისკრიმინაციული პირობებით. შესაბამის ოპერატორს მომსახურების ფასი უნდა ეცნობოს წინასწარ და უნდა განაწილდეს მომსახურების პროპორციულად

²⁷ MUX-Auswahlgrundsätzeverordnung 2011. <https://www.rtr.at/en/m/MUXAGV2011>

²⁸ Although at first, the dynamics of switchover from analogue to digital technology were to be completed by the year 2014

²⁹ Official Gazette of BH, No. 38/10 of 10 May 2010.

რომლითაც განისაზღვრა აუცილებლობა სიფრთხილით დარეგულირებულიყო ეს სფერო. კერძოდ, ქსელის ოპერატორებს, მულტიპლექს ოპერატორებს, სერვის პროვაიდერებს და კონტენტის მწარმოებლებს შორის ურთიერთობა. ამ რეგულაციის მიზანი იყო კონკურენციის და მომხმარებლების ინტერესების დაცვა.

საზოგადოებრივი ინტერესები ჩამოთვლილია კომუნიკაციების შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც ადგენს რეგულირების მთავარ პრინციპებს:

- გამოხატვის თავისუფლების დაცვა და მოსაზრებების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეთიკური, არადისკრიმინაციულობის, კეთილსინდისიერების და სიზუსტის და მიუკერძოებლობის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები. სამაუწყებლო სექტორის მარეგულირებელი ნორმაში ჩამოთვლილია ის პრინციპები, რომელიც უნდა დაიცვას მარეგულირებელმა ორგანომ აღნიშნული სფეროს რეგულირებისას;
- მედიის პლურალიზმის და მრავალფეროვნების დაცვა (კონცენტრაციის შეზღუდვა) ასევე სექტორის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება;
- შეღავათები ტელერადიო მაუწყებლობის სადგურებისათვის, რა დროსაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ქვეყნის მოქალაქეების ინტერესები, როგორც პირველადი ამოცანა რეგულირებისას.

მარეგულირებელმა ორგანომ მოახდინა მისი ყველა რეგულაციის და ნორმის ჰარმონიზაცია აუდიოვიზუალური მედია სერვისების დირექტივასთან (Audiovisual Media Services Directive). აუდიოვიზუალური და რადიო მედია სერვისების კოდექსი (*The Code on audiovisual and radio media services*) და კომერციული კომუნიკაციის კოდექსი (*Code on Commercial Communication*) ადგენს საბაზისო მოთხოვნებს კონტენტისთვის ყველა სახის სერვისისთვის და დისტრიბუციის პლატფორმისათვის.

3.4 ხორვატია

მიუხედავად იმისა, რომ ხორვატიამ ციფრული მაუწყებლობა 2002 წელს დაიწყო, ევროკავშირის მიერ რეკომენდირებულ 2012 წლამდე 2 წლით ადრე, 2010 წელს მოხდა

ანალოგური მაუწყებლობის გამორთვა, რასაც თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ჰქონდა.³⁰

გაციფრულების პროცესი დარეგულირდა რამდენიმე სამართლებრივი აქტით:

- ელექტრონული კომუნიკაციების აქტით (Electronic Communications Act)³¹, სხვა საკითხებთან ერთად დარეგულირდა საქსელო ინფრასტრუქტურის გამოყენების, უნივერსალური მომსახურება და მომხმარებელთა უფლებები. კანონი ასევე განსაზღვრავდა საკომუნიკაციო ქსელის და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების აგების, ინსტალაციის, გამოყენების, ასევე კონკურენციის რეგულირების საკითხებს სამაუწყებლო სერვისების მიმართულებითაც.
- ელექტრონული მედიის აქტით (Electronic Media Act)³² დარეგულირდა კონტენტის წარმოების და გავრცელების საკითხები, მიუხედავად ელექტრონული პლატფორმის სახეობისა.
- ხორვატიის ტელერადიო აქტით (Croatian Radio-Television Act)³³ რეგულირდება ხორვატიის საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა (Croatian Radio Television (hereinafter referred to as: HRT)).
- აუდიოვიზუალური ნაშრომების აქტით (Audiovisual Works Act)³⁴, განსაზღვრულია აუდიოვიზუალური ნაწარმოების მიწოდების, ორგანიზების და დაფინანსების საკითხები. ამავე აქტის ფარგლებში რეგულირდება კულტურული, ადგილობრივი წარმოების აუდიოვიზუალური პროდუქციის შექმნასთან დაკავშირებული აქტივობები. ასევე მათი დაცვის ღონისძიებები ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ.

³⁰ Croatia - Rules on the Switchover to Digital Broadcasting. 2009. Nives Zvonaric. <http://merlin.obs.coe.int/iris/2009/4/article18.en.html>

³¹ REPUBLIC OF CROATIA MINISTRY OF THE SEA, TRANSPORT AND INFRASTRUCTURE ELECTRONIC COMMUNICATIONS ACT . 2008. <http://www.mppi.hr/UserDocsImages/Electronic%20Communications%20Act%20OG73-2008%20zo-II.pdf>

³² ZAKON O ELEKTRONIČKIM MEDIJIMA http://www.e-mediji.hr/files/zakonski/Zakon_o_elektronickim_medijima_563.pdf

³³ <http://www.legislationline.org/documents/id/5866>

³⁴ <http://merlin.obs.coe.int/iris/2007/8/article21.en.html>

- მიერთების აქტი ურთიერთგაგების მემორანდუმთან, რომლითაც დარეგულირდა ევროპის კავშირის და ხორვატიის ჩართულობის და თანამშრომლობის 2007-2013 წლების პროგრამა მედიის საკთხებთან დაკავშირებით (Act on Acceptance of the Memorandum of Understanding between the European Community and the Republic of Croatia on the Participation of the Republic of Croatia in the Community Programme MEDIA 2007 (2007 – 2013).

რაც შეეხება ქსელი ოპერატორის შერჩევის და მულტიპლექს ორში განსათავსებლად ოპერატორების შერჩევის კრიტერიუმებს წარმოდგენილი კანონქვემდებარე აქტებში:

- რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების შესახებ (Ordinance on Radio Frequency Spectrum Allocation),
- რადიო და სატელევიზიო პროგრამების ანალოგურიდან ციფრულზე გადასვლის და ციფრული საეთერო მაუწყებლობის მულტიპლექსორში დაშვების შესახებ (*Ordinance on the Transition from Analogue to Digital Broadcasting of Radio and Television Programmes and Access to Multiplex Positions in Digital Terrestrial Broadcasting*);
- რადიოს სიხშირული სპექტრის შეფასების და გამოყენების შესახებ (Ordinance on the conditions for the assignment and use of radio frequency spectrum).

პროცესის რეგულირებაში ჩართულია ორი ორგანო: ხორვატიის ფოსტის და ელექტრონული კომუნიკაციების სააგენტო (Croatian Post and Electronic Communications Agency (HAKOM) და ელექტრონული მედიის სააგენტო (Electronic Media Agency (EMA).

საინტერესოა არხების განაწილების სქემა მულტიპლექს პლატფორმებში. 2012 წლის მონაცემებით MUX A-ში განთავსებული იყო 4 არხი ორი საზოგადოებრივი (HRT 1 და HRT 2) და ორი კომერციული ეროვნული დაფარვის (RTL,NOVA). MUX B-ში განთავსებული იყო ორი კომერციული არხი RTL 2 და Doma TV, ასევე ორი საზოგადოებრივი ეროვნული დაფარვის არხი (HRT 3 და HRT 4).

MUX D მოიცავს განაწილების შედეგად 5 ეროვნული დაფარვის არხს: JABUKA TV, NeT, Sportska televizija, KN და CMC, ხოლო რეგიონებში ამავე MUX D განთავსებულია სამი არხი რეგონული დაშვების ქსელისთვის (Z1, TV4R და TV PLUS. MUX D ასევე ავრცელებს ცალკეული რეგიონების მიხედვით 7 არხს დედაქალაქში (KANAL RI, TV ISTRA, RITV, TV NOVA, Sportska televizija, KN და CMC. სხვა ადგილობრივ ზონებში

ასევე 3 დამატებით არხს (Sportska televizija, KN და CMC), D8 ციფრულ ზონაში იგივე მულტიპლექსორი ავრცელებს 5 არხს (JADRAN, TV DALMACIJA, Sportska televizija, KN და CMC), ხოლო D9 ციფრულ ზონაში ოთხ არხს (DU TV, Sportska televizija, KN და CMC). D2 ციფრულ ზონაში დამატებით განაწილდა SBTV. D3 ციფრულ ზონაში განაწილდა დამატებითი ორი არხი- SRCE TV და VARAZDINSKA TV.

ციფრული სატელევიზიო კონტენტის პროვაიდერების შერჩევა რეგულირდება ელექტრონული მედიის აქტის (Electronic Media Act) 73-ე მუხლით. ელექტრონული მედიის საბჭო უფასოდ ხელმისაწვდომ ფორმატში შესაბამისი მულტიპლექს ქსელის ტელე და რადიო კონტენტის გავრცელების უფლებას საჯარო ტენდერის მეშვეობით გაცემს. უფლების მინიჭების კრიტერიუმი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

- საკუთარი წარმოების პროდუქციის მოცულობა, ევროპული წარმოების აუდიოვიზუალური ნაწარმოებების წილი, ასევე დამოუკიდებელი წარმოების პროდუქტის მოცულობა,
- სერვისის მიწოდების დროის შუალედი,
- აუდიოვიზუალური პროგრამების მიწოდების რაოდენობა და მრავალფეროვნება,
- სპეციალური ტექნიკური, ფინანსური (რესურსების თანხა და ფინანსური გარანტიები) და პერსონალური პირობები.

რადიო და სატელევიზიო პროგრამების ანალოგურიდან ციფრულზე გადასვლის და ციფრული საეთერო მაუწყებლობის მულტიპლექს ორში დაშვების შესახებ კანონქვემდებარე აქტის (*Ordinance on the Transition from Analogue to Digital Broadcasting of Radio and Television Programmes and Access to Multiplex Positions in Digital Terrestrial Broadcasting*) მე-5 მუხლის შესაბამისად, რეგულირდება დაშვების პირობები მულტიპლექსორის რესურსთან.³⁵ აღნიშნული მუხლის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

მულტიპლექს ქსელის მთლიანი სიმძლავრე უნდა დაიყოს შესაბამისი რაოდენობის არხად, ასევე იმ სიმძლავრეებთან, რომელიც დაკავშირებულია სატელევიზიო და რადიო სერვისებთან.

³⁵ ORDINANCE ON THE SWITCHOVER FROM ANALOGUE TO DIGITAL BROADCASTING OF RADIO AND TELEVISION PROGRAMMES AND ACCESS TO MULTIPLEX POSITIONS IN DIGITAL TERRESTRIAL BROADCASTING.

<http://www.hakom.hr/UserDocsImages/dokumenti/Ordinance%20on%20analogue%20to%20digital%20transmission.pdf>

ტელე-რადიო პროგრამების რაოდენობა ისევე, როგორც სხვა დაკავშირებული სერვისების რაოდენობა და ტიპები უნდა განაწილდეს ხორვატიის ფოსტისა და ელექტრონული კომუნიკაციების სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებით და/ან რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების გადაწყვეტილებით და გამოქვეყნდეს საჯაროდ;

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ან მინიჭების გეგმაში, სააგენტომ შესაძლოა განსაზღვროს მომსახურების ცალკეული ხარისხობრივი პარამეტრები.

კერძო ტელე-რადიო პროგრამების უფასოდ ტრანსლირების მოცულობა მულტიპლექსორში უნდა გამოყენებული იყოს იმ რეგულაციის შესაბამისად, რომელიც დადგენილია ელექტრონული პროგრამების სერვისების გავრცელების წესებით.

მულტიპლექს ოპერატორმა უნდა უზრუნველყონ სატელევიზიო მაუწყებლები, ისევე როგორც დამატებითი სერვისების პროვაიდერების დაშვება მულტიპლექსორის სიმძლავრესთან ობიექტურობის, გამჭვირვალობის და პროპორციულობის არადისკრიმინაციულობის პრინციპების საფუძველზე.

ტრანსლირებისთვის საჭირო სიმძლავრესთან მულტიპლექსორში დაშვების უფლების მინიჭებისას უნდა დეტალურად გაიწეროს შეთანხმებაში მულტიპლექს ოპერატორსა და მაუწყებლებს შორის შესათანხმებელი პირობები.

მულტიპლექს ოპერატორმა უნდა მოახდინოს პროგრამების კოდირება იმგვარად, რომ შენარჩუნდეს კონტენტის ხარისხი.

როგორც გათვალისწინებული იყო განკარგულებით, ანალოგიურ ციფრულ მაუწყებლობაზე რადიო და სატელევიზიო პროგრამები ხელმისაწვდომია მულტიპლექს პოზიციების ციფრულ მაუწყებლობაზე), მულტიპლექს ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს სატელევიზიო და რადიო მაუწყებლების დაშვება ისევე, როგორც სერვის პროვაიდერების დაშვება მულტიპლექსორის რესურსებთან ობიექტურობის, გამჭვირვალობის, პროპორციულობის და არადისკრიმინაციულობის პროპორციის საფუძველზე. გავრცელების რესურსებთან დაშვების უფლების მოპოვება უნდა გაიწეროს ხელშეკრულებაში.³⁶

³⁶ Case Study on transition from analogue to digital terrestrial TV (DTTV) broadcasting in the Republic of Croatia (April 2009)

მულტიპლექს ოპერატორი და საქსელო ოპერატორი დასაშვებია, რომ იყოს ერთი და იგივე პირი.

საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად ელექტრონული მედიის აქტის 25-ე მუხლით განსაზღვრულია რიგი პრინციპები, რომელიც უნდა დაიცვან კონტენტის მწარმოებლებმა:³⁷

- გადასცენ უტყუარი ინფორმაცია, ადამიანის ღირსების პატივისცემის და ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების და სხვა ადამიანების მოსაზრებებს და შეხედულებების პატივისცემას შეუწყონ ხელი;
- ხელი შეუწყონ თავისუფალი აზრის ჩამოყალიბებას, მრავალმხრივი და ობიექტური ინფორმაციის მოსმენასა და ყურებას ისევე, როგორც მათ განათლებას;
- ხელი შეუწყონ ხორვატიის კულტურულ მემკვიდრეობას და წახალისონ მომხმარებლების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში;
- დაიცვან დემოკრატიული ღირებულებები, ემსახურონ გარემოს დაცვას, გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას;
- ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების წევრების ჩართულობას ქვეყნის საქმიანობაში.

3.5 იტალია

ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი დარეგულირდა სპეციალური სამართლებრივი აქტით.³⁸ მარეგულირებელი ორგანოს (AGCOM) გადაწყვეტილებით³⁹ ღია კონკურსით განაწილდა ექვსი მულტიპლექსის სიხშირე (5

http://www.itu.int/ITU-D/tech/OLD_TND_WEBSITE/digital-broadcasting_OLD/Bulgaria_Assistance_Transition/Croatia/Croatia_Web.pdf

³⁷ Mapping Digital Media: Croatia A REPORT BY THE OPEN SOCIETY FOUNDATIONS WRITTEN BY Viktorija Car (lead reporter) Ivana Andrijašević (reporter) <http://www.opensocietyfoundations.org/sites/default/files/mapping-digital-media-croatia-20120906.pdf>

³⁸ Legislative Decree 31.07.2005, n. 177 “Testo unico dei servizi di media audiovisivi e radiofonici” (G.U.150/2005)

³⁹ Decision 497/10/CONS

DVB-T და ერთი DVB-H ან DVB-T2). სიხშირეების მინიჭება მოხდა 20 წლის ვადით. ფასების რეგულირების კუთხით მულტიპლექს ოპერატორს, რომელსაც შესაძლოა მინიჭებოდა ხუთივე სიხშირული ლოტის ლიცენზია, ვალდებულია, გადასცეს მეხუთე მულტიპლექსორის სიმძლავრის 40% დამოუკიდებელი კონტენტის პროვაიდერებს. ტარიფი უნდა იყოს ხარჯზე ორიენტირებული.

საქართველოში დაგეგმილი ბიზნეს მოდელის პირობებში, შესაძლებლად მიგვაჩნია, საუკეთესოდ მივიჩნიოთ იტალიის მოდელი, რომლის მიხედვით, კერძო მაუწყებლებისათვის განსაზღვრულია მულტიპლექსორის სიმძლავრის 40%-იანი კვოტა, ჩამოთვლილია ის პრინციპები, რომლებიც უნდა დაიცვას ამ მაუწყებელმა. მულტიპლექსორში არხის განსათავსებლად აუცილებელია მინიმუმ ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილება:

- საინფორმაციო და სადისკუსიო პროგრამების წარმოება;
- გასართობი - პირდაპირ ტრანსლირებადი სპორტული, საზოგადოებრივი, კულტურული და ა.შ;
- შემეცნებითი ხასიათის - ისტორიული, კულტურული, სამეცნიერო, მუსიკალური და ა.შ.;
- მხატვრული პროგრამები, ფილმები და ასევე ბავშვებზე და მოზარდებზე გათვლილი პროგრამები).

3.6 მონტენეგრო

მონტენეგროს გაციფრულების სტრატეგია 2008 წლის 10 აპრილს გამოქვეყნდა, რომლის მიხედვით ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის თარიღად 2012 წლის 31 დეკემბერი განისაზღვრა.

პროცესის წარმართვის გამოყენებული იყო სამი ძირითადი კანონი:

- 2010 წლის ელექტრონული მედიის კანონი (Law on Electronic Media);

- 2008 წლის კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ (the Law on Electronic Communications);

- 2011 წლის კანონი „ციფრული მაუწყებლობის შესახებ“ (the Digital Broadcasting Law).

პროცესის რეგულირებაში ჩართულია ორი სააგენტო:

- ელექტრონული კომუნიკაციების და ფოსტის სერვისების სააგენტო - EKIP (The Agency for Electronic Communications and Postal Services (Agencija za elektronske komunikacije i poštansku djelatnost, hereinafter:);

- ელექტრონული მედიის სააგენტო - AEM (The Agency for Electronic Media (Agencija za elektronske medije, hereinafter:);

მონტენეგოს პრაქტიკიდან საინტერესოა ის, რომ პროცესში ჩართულნი არიან მთავრობა და პარლამენტი, მინისტრები,⁴⁰ მარეგულირებელი ორგანოები და მონტენეგროს სამაუწყებლო ცენტრი (Broadcasting Centre of Montenegro), რომელიც წარმოადგენს საქსელო ინფრასტრუქტურის სახელმწიფო ოპერატორს და 300-მდე გადამცემით უზრუნველყოფს საეთერო მაუწყებლობის ქსელის მუშაობას.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებელი კონკურსის საფუძველზე იღებს სტანდარტული გარჩევადობის ხარისხით ორი არხით მაუწყებლობის უფლებას. ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის დაშვება ხორციელდება ლოკალურ დონეზე მონტენეგროს სამაუწყებლო ცენტრის მიერ.

კომერციული მაუწყებლების დაშვება მულტიპლექს ქსელთან უნდა განხორციელდეს ღია კონკურენციის საფუძველზე კანონით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. საჯარო ტენდერი დეტალურად უნდა განასაზღვრავდეს გამოსაყენებელი მოცულობის პირობებს.

მულტიპლექს ოპერატორებს ეკისრებათ ვალდებულება, მოახდინონ ელექტრონული მედია კონტენტის დისტრიბუცია იმ მედია საშუალებების, რომლებმაც მიიღეს კონტენტის ციფრული საეთერო პლატფორმით ტრანსლირების უფლება „ელექტრონული მედიის“ შესახებ კანონის 84-ე მუხლის შესაბამისად. როდესაც ხდება რაიმე სამაუწყებლო კონტენტის განთავსება არხების კატალოგში, მულტიპლექს ოპერატორი ვალდებულია დაიცვას საავტორო უფლებები. რეგულაციის კუთხით არსებობს გარკვეული პრობლემები და გაურკვევლობა საკონკურსო პირობებს შორის ისევე, როგორც უცხოური კონტენტის გავრცელებასთან დაკავშირებით.

⁴⁰ შენიშვნა: კულტურის, სპორტის და მედიის, ეკონომიკური განვითარების; ფინანსთა; შრომის, სოციალურ უზრუნველყოფის და ჯანდაცვის, განათლების და მეცნიერების სამინისტროები პროცესში ჩართული არიან შესაბამისი მიმართულებით.

ციფრული მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-7 მუხლი არ უკრძალავს მულტიპლექს ოპერატორის იყოს სატელევიზიო კონტენტის პროვაიდერი, თუმცა ამ შემთხვევაში ვალდებულია, აწარმოოს ხარჯების განცალკევებული აღრიცხვა. გარდამავალ პერიოდში ციფრული მაუწყებლობის პლატფორმით ტრანსლირებისთვის ანალოგური მაუწყებლობის ოპერატორი ტრანსლირების საფასურს არ იხდის.

3.7 სერბეთი

სერბეთში, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 8 მილიონია, ხოლო სატელევიზიო ოჯახების აუდიტორია დაახლოებით 3 მილიონია, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის დასრულების თარიღი 2012 წლის აპრილი იყო. ქვეყანაში 2013 წლის მდოგმარეობით Mux1 განკუთვნილია ეროვნული დაფარვის მაუწყებლობისათვის, ხოლო Mux 2 გამოყენებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი დანიშნულების პროგრამებისათვის.

სერბეთის მაუწყებლობის განვითარების სტრატეგია⁴¹ (*The Strategy of the Development of Broadcasting in the Republic of Serbia*) ემყარება სხვადასხვა ნორმატიულ აქტს, მათ შორის:

- მაუწყებლობის კანონს (Zakon o radiodifuziji) of 2002,
- 2010 წლის კანონს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ (Zakon o elektronskim komunikacijama), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს რადიოსიხშირული სპექტრის მართვას, გამოყენებასა და მონიტორინგს, დაკავშირებულს მედია კონტენტის დისტრიბუციასთან და მაუწყებლობასთან.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 104-ე მუხლი ადგენს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ძირითად წესებს და ტელეკომუნიკაციებისა და საზოგადოების ინფორმირების მინისტრის უფლებას დაარეგულიროს აღნიშნული დეტალები. 2011 წლის თებერვალში მინისტრის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტით დაარეგულირდა ანალოგიურ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა და მულტიპლექს პლატფორმასთან წვდომის საკითხები. ციფრული მაუწყებლობის სტრატეგია, არეგულირებს ციფრული მაუწყებლობაზე გადასვლის დროს, გრაფიკს.

⁴¹https://www.itu.int/ITU-D/tech/OLD_TND_WEBSITE/digital-broadcasting_OLD/Bulgaria_Assistance_Transition/Serbia/Digital_Switchover_Strategy-ENGL.pdf

მულტიპლექს ოპერატორების შერჩევის კუთხით კონკურენტული გარემოს შესაქმნელად, სერბეთმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა, თუმცა, ის მაინც არ უნდა ჩაითვალოს საკმარისად თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად. ბოლო დრომდე, ტექნიკურად ყველაზე კარგი სამაუწყებლო და გადაცემების ინფრასტრუქტურას მართავდა ეროვნული სახელმწიფო ტელევიზია ანუ რადიო Televizija Srbije (RTS). მაუწყებლობის განვითარების სტრატეგიამ დაადგინა, რომ ჩამოყალიბებული მდგომარეობა ვერ ქმნიდა თანაბარ პირობებს სერბეთში არსებული ყველა მედია საშუალებისათვის.

ამ მიზეზის გამო სერბეთის მთავრობამ შექმნა სპეციალური სახელმწიფო საწარმო ("Emisiona tehnito"), რომელსაც გადაეცა სერბეთის ეროვნული მაუწყებლის სამაუწყებლო ინფრასტრუქტურა. აღნიშნული საჯარო საწარმო უზრუნველყოფს სატელევიზიო, რადიო და მობილური სიგნალების მიწოდებას არადისკრიმინაციული და თანაბარი პირობებით ყველა ლიცენზირებული მაუწყებლისათვის. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 104-ე მუხლი აკისრებს სახელმწიფო საქსელო საწარმო Emisiona-ს მოახდინოს ელექტრონული საკომუნიკაციო მულტიპლექსორების ქსელის აგება-ოპერირება, გადანაწილება და ციფრული სატელევიზიო პროგრამის მაუწყებლობა. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის დებულება ითვალისწინებს, რომ მონაცემთა ნაკადის ფარგლებში მულტიპლექს ოპერატორი თითოეული მაუწყებლისათვის უნდა ქმნიდეს მინიმუმ 2 მბ/წამიანი კონტენტის გადაცემის შესაძლებლობას.

გაციფრულების კანონქვემდებარე აქტის მე-5 მუხლი განსაზღვრავს, რომ პირველი მულტიპლექსორით გავრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებელი და ეროვნული დაფარვის არხები, მეორე მულტიპლექსორით კი რეგიონალური მაუწყებლები გავრცელდება. ეროვნული მარეგულირებელი ორგანო ლიცენზიას გასცემს როგორც მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის, კაბელის ან თანამგზავრის გამოყენებით.

სამაუწყებლო ლიცენზია განსაზღვრავს ტექნიკურ და პროგრამულ სტანდარტს რადიო და სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობისათვის. სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი შეიძლება იყოს ის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია სერბეთში ან აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი სერბეთის რესპუბლიკაში. უცხო ქვეყნის რეგისტრაციის მქონე იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირში აქციონერის ან მეწილის სახით, თუმცა მათი წილობრივი მონაცემი არ უნდა აღემატებოდეს 49%-ს.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 101-ე მუხლი არეგულირებს მაუწყებლის ვალდებულებებს. სამაუწყებლო ორგანოს მოთხოვნით RATEL-ს შეუძლია დანიშნოს ელექტრონული კომუნიკაციების ქსელის ოპერატორი, რომელმაც უნდა გაანაწილოს ერთი ან მეტი რადიო ან სატელევიზიო პროგრამა ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე. როდესაც მნიშვნელოვანი რაოდენობის საბოლოო მომხმარებლები გამოიყენებენ ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს, როგორც მედიის მიღების ერთადერთ ან ძირითად გზას, აუცილებელია, დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივი ინტერესი, როგორც ეს დადგენილია სამაუწყებლო ორგანოს მიერ, პროპორციულობის და გამჭვირვალობის პრინციპების გათვალისწინებით.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 102-ე მუხლი ითვალისწინებს საეთერო მაუწყებლობის ქსელთან დაშვების სპეციალურ პირობებს. RATEL-მა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა დაავალდებულოს სამაუწყებლო ქსელის ოპერატორი მაუწყებელი დაუშვას ქსელთან ხელმისაწვდომი და არადისკრიმინაციული პირობებით. მას ასევე უფლება აქვს, დაავალდებულოს საქსელო პროვაიდერი და უზრუნველყოს პროგრამული ინტერფეისების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა პროგრამის ელექტრონულ გზამკვლევთან. ამოსავალი წერტილი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ბოლო მომხმარებლის ინტერესი უზრუნველყოფილი იყოს მომსახურების მიღების უფლება და შესაძლებლობა.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 102-ე მუხლი ადგენს პირობითი დაშვების მომსახურების წესებს. სამაუწყებლო ქსელის ოპერატორი სთავაზობს პირობით დაშვების სერვისებს სამაუწყებლო კონტენტთან (პირობითი დაშვების მომსახურების ოპერატორი). პირობითი დაშვების მომსახურების ოპერატორი ვალდებულია, შესთავაზოს ტექნიკური შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ პირს, რომ კონტენტის მფლობელმა განახორციელოს სრული კონტროლი მისი პროგრამების გავრცელებაზე ამ სისტემის გამოყენებით. მომსახურება, მიწოდებული უნდა იყოს გონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით.

3.8 სლოვენია

საინტერესოა სლოვენიის პრაქტიკა, რადგან მისი სარეკლამო ბაზარი საქართველოს სატელევიზიო რეკლამის ბაზარს შემოსავლების თვალსაზრისით რამდენჯერმე აღემატება, მისი მოსახლეობა კი 2 მილიონია. ე.წ. სატელევიზიო ოჯახების

რაოდენობა 740 ათასს შეადგენს.⁴² აღსანიშნავია, რომ სატელევიზიო პროგრამები განაწილებულია 2 ეროვნულ მულტიპლექსორზე, MUX A-ს ოპერირებას ახორციელებს საზოგადოებრივი სერვისების მაუწყებელი - RTV Slovenija, ხოლო MUX B-ს ლიცენზიის მფლობელია ნორვეგიული კომპანია ნორკრინგი (Norkring). წინასწარი ეროვნული გეგმით მოსახლეობის 98%-ის დასაფარად გათვლილი იყო 230 გადამცემი სადგურის დამონტაჟება.⁴³ ევროკავშირის რეგულაციით MUX A-ზე არ უნდა იყოს განთავსებული კომერციული მაუწყებლების სერვისები. 2013 წლის მდგომარეობით ქვეყანაში 5 ეროვნული დაფარვის არხი იყო, მათ შორის 2 საზოგადოებრივი და 3 კომერციული. ქვეყანაში ასევე ფუნქციონირებდა 10 ადგილობრივი/რეგიონული არხი.

სლოვენიაში მოსამზადებელი ეტაპი მოწესრიგდა ე.წ. ციფრული მაუწყებლობის აქტით. საკონკურსო აუქციონის გამოცხადებამდე გადაწყდა მთელი რიგი საკითხები და მაქსიმალურად დეტალურად დარეგულირდა ურთიერთობები ქსელის MUX ოპერატორებსა და მაუწყებლებს შორის, რადგან ბუნდოვანება შესაძლოა, ინვესტორის ბაზარზე შემოსვლის ბარიერი გამხდარიყო. RTV Slovenija-ს, ანუ საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ქონდა უფლება შეეტანა განაცხადი კომერციულ მულტიპლექსორზე უფლების მოსაპოვებლად. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის გამოყოფილი ქსელი დაკავებული იყო ეროვნული კომერციული მაუწყებლების მიერ, რადგან დროულად ვერ დასრულდა კომერციული მულტიპლექსორის აგება. ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის შემდგომ (2012 წლის მდგომარეობით) სატელევიზიო არხების რაოდენობა შემცირდა, ვიდრე ეს ანალოგური საეთერო მაუწყებლობისას იყო.

მულტიპლექს A-ში, ერთი ეროვნული დაფარვის არხის ტრანსლირებისათვის განისაზღვრა 79 ათასი ევრო წელიწადში,⁴⁴ შესაბამისად თვეში 6 590 ევრო. (ხელშეკრულებები კომერციულ ტელევიზიებსა და MUX B-ს შორის კიდევ არ არის შეთანხმებული. სამინისტრო პასუხისმგებელია საზოგადოებში გავრცელებულ

⁴² http://ejc.net/media_landscapes/slovenia

⁴³ 2012 November. ITU presentation on Slovenia experience.

<http://www.itu.int/ITU-D/eur/ri/broadcasting/seminar/Roundtable%20on%20way%20forwards%20SVN.ppt..>

⁴⁴ http://www.ceeregionalworkinggroup.net/files/Slovenia/Digital_TV_progres/Switchover_in_Slovenia.pdf

ინფორმაციაზე სატენდერო დაფინანსების ხარჯებზე ანალოგიურ სატელევიზიო ქსელებზე გარდამავალ პერიოდში.

სიხშირეზე გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 200.000 ევროს ერთ განმცხადებელზე 3 წლის პერიოდზე გადათვლით. ეს თანხა არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი კონკურსში მონაწილეობისთვის.

მხოლოდ ის მაუწყებელი, რომელიც კონკრეტული რადიო ან სატელევიზიო პროგრამის სერვისების მიწოდებაზე ფლობს ლიცენზიას, იძენს უფლებას განთავსდეს მულტიპლექსში.

ყველა მაუწყებელი, რომელსაც სურს მიიღოს ციფრული საეთერო პლატფორმით გავრცელების უფლება აუცილებელია, რომ ფლობდეს შესაბამის ლიცენზიას, რისთვისაც მონაწილეობას იღებენ კონკურსში. ლიცენზიას გასცემს APEK რადიო და ტელე მაუწყებლობისათვის, შემდეგი პირობებით:

- რადიო ან სატელევიზიო აქტივობების რეგისტრაცია მედია რეგისტრში, რომელსაც ახორციელებს კულტურის სამინისტრო შესაბამისი გადაწყვეტილებით რადიო ან სატელევიზიო პროგრამების რეგისტრაციის შესახებ.

- ლიცენზიის შესახებ განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აქტივობების ტიპის და შინაარსის შესახებ (რადიო ან ტელევიზია), პროგრამის დასახელება და პროგრამული მოთხოვნები, რაც უნდა უზრუნველყოს მაუწყებელმა პროგრამის მაუწყებლობის პერიოდში.

პროგრამული სერვისების საბოლოო შერჩევა მოხდა მაუწყებლობის საბჭოს მიერ ელექტრონული კომუნიკაციების აქტზე დაყრდნობით. სააგენტომ წარმოდგენილ შეთავაზებების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ასარჩევი მაუწყებლების შესახებ და შერჩეულ მაუწყებლებს უფლება მიეცა, მაუწყებლობა განახორციელონ ციფრული მულტიპლექსის გამოყენებით.

პროგრამის მიმართ მოთხოვნები დეტალიზირებულია კონტენტ პროვაიდერების შერჩევის შესახებ (*Selection of content providers (Article 104 of the Mass Media Act)*) სამართლებრივი აქტით, სადაც განსაზღვრულია წესები, რაც უნდა დაიცვას მულტიპლექს ოპერატორმა კონკურსის გამოცხადებისას. საკონკურსო პროცესის ზედამხედველობას ახორციელებს - APEK.

ციფრული მაუწყებლობისათვის არხების შერჩევის სატენდერო პირობები და კრიტერიუმები, დგინდება APEK-ის მიერ სამაუწყებლო საბჭოსთან შეთანხმებით. დაინტერესებულ მაუწყებლებს შორის ღია კონკურსის დროს ფასდება შეთავაზებული პროგრამული კონტენტი, შიდა წარმოების პროდუქციის მოცულობა, მაუწყებლობის ხანგძლივობა და მოსახლეობის ინფორმირებაზე გათვლილი პროგრამების მოცულობა. პრიორიტეტი შესაძლოა მიეცეს იმ მაუწყებელს, რომელიც ფლობს ანალოგურ ლიცენზიას, ასევე უფასოდ ტრანსლირებად მაუწყებლებს.

ციფრული მაუწყებლობის აქტის მე-12 პუნქტი ითვალისწინებს იმას, რომ მულტიპლექს ქსელის ოპერატორმა კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში უნდა უზრუნველყოს ყველა პროვაიდერის თანაბარი და არადისკრიმინაციული პირობებით დაშვება, იმისათვის, რომ ჰქონდეს უფლება გაავრცელოს პროგრამები ციფრული მაუწყებლობის ტექნოლოგიების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ კონტენტის პროვაიდერი ამავდროულად საქსელო პროვაიდერია, ის ვალდებულია ამ ორი საქმიანობის ხარჯთაღრიცხვა აწარმოოს განცალკევებულად.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ აქტის 114-ე პუნქტი მოითხოვს, რომ პირობითი დაშვების სერვისების ოპერატორებმა უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა იმ ციფრულ სატელევიზიო და რადიო პროგრამებთან, რაც მაუწყებლის პროგრამებს ემყარება; ვალდებულია, შესთავაზოს მაუწყებლებს არადისკრიმინაციული ტექნიკური მომსახურების პირობები, რაც საშუალებას აძლევს აბონენტებს ჰქონდეთ წვდომა მაუწყებლის მომსახურებასთან. პირობითი დაშვების მომსახურების ოპერატორებმა უნდა უზრუნველყონ ხარჯების განცალკევებულად აღრიცხვა.

4. უცხოური წარმოების კონტენტის ციფრულ საეთერო ქსელში განთავსების რეგულაცია

თანამედროვე სატელევიზიო 3DTV და UDTV ფორმატით მაუწყებლობა უდავო წარმატებით სარგებლობს. DVB-3DTV კომიტეტმა (DVB-3DTV Committee) ასევე დააანონსა ის სპეციფიკაციები რომელიც HDMI შეერთების საშუალებით ხდება უკეთესი ხარისხის კონტენტის მიწოდება. ეს სპეციფიკაციები გამოიყენება 3D ფორმატის⁴⁵ სატელევიზიო მაუწყებლობისათვის და შესაბამისად იწარმოება 3D

⁴⁵ 3DTV Three-dimensional television: A television viewing system whereby a 3D effect is created for the viewer. The 3D image is generated using red and blue colour tints on two overlaid images intended for left and right eye. Some forms of 3D TV can involve the viewer wearing glasses (stereoscopic) but more advanced systems do not require glasses (auto - stereoscopic).

ტელევიზორებიც და განთავსებულია ბაზარზე. საინტერესოა, როგორია გამტარუნარიანობა ციფრული საეთერო ქსელების იმ ქვეყანებში, სადაც ეს სერვისი ფართოდაა დანერგილი. მეორე ეტაპად უნდა მოვიაზროთ ქსელების ოპტიმიზაცია და ამ სერვისთან მათი თავსებადობის გაზრდა, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციის მიერ დაანონსდა 2012 წლის ზაფხულისათვის.

3D მაუწყებლობა საინტერესოა არა მხოლოდ მაღალი ხარისხობრივი პარამეტრების გამო, არამედ კომერციული შესაძლებლობების კუთხითაც. 2012 წლისათვის ფასიანი თანამგზავრული სერვისების პროვაიდერებმა (Canal+, SKY, SKY ITALIA, და ა.შ.) ასევე გაუშვეს მათი 3D ფორმატის სატელევიზიო მაუწყებლობა, რიგ მაუწყებლებს აქვთ ასევე საეთერო ქსელით 3D ფორმატის მაუწყებლობის შეთავაზებები. 3D ფორმატის ტელევიზორების პენეტრაცია ასევე სწრაფად იზრდება.

მთავრი ფაქტორი, თუ რატომ სურთ სხვადასხვა ქვეყნებს უცხოური კონტენტის რეგულირება, მდგომარეობს იმაში, რომ არ შემცირდეს ქვეყნის მოსახლეობაში ციფრული პლატფორმის პოპულარობა და ამგვარად დაბალანსდეს კონკურენცია სხვა ტექნოლოგიურ პლატფორმებთან შედარებით. თუმცა, ამ საკითხების რეგულირება არც თუ ისე მარტივია.

ისეთი არხები, როგორიცაა Euronews, Discovery, Eurosport, CNN, BBC World და სხვა, როგორც წესი, ხელმისაწვდომია ევროპის ქვეყნების უმეტესობაში.⁴⁶ ამავდროულად ეროვნული არხები ჩნდებიან მეზობელი ან სხვა ქვეყნის ციფრული საეთერო პლატფორმის პროგრამულ ბადეში. მაგალითისათვის, იტალიური უფასოდ ტრანსლირებული არხები განთავსებულია მალტის ფასიან საეთერო პლატფორმაში, ხოლო შვედური არხი, ტვ-4, განთავსებულია დანიის ფასიან ციფრულ საეთერო პლატფორმაში.

რამდენიმე ქვეყანა ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის კომპანიებს კონტენტის ციფრული საეთერო ქსელით უფასოდ **ტრანსლირების უფლებას არ აძლევს. მაგალითად, საბერძნეთი, სლოვენია, ხორვატია, ლატვია, ჩეხეთის რესპუბლიკა.** 2011 წლისათვის სლოვენიის ყველა სატელევიზიო არხი, რომელსაც სურს ციფრული სამაუწყებლო ტექნოლოგიით გავრცელების უფლების მიღება, უნდა დარეგისტრირდეს ასევე სლოვენიაში, რადგან ეს არის უმთავრესი მოთხოვნა

⁴⁶ See MAVISE press release, 2010 a milestone year for DTT in Europe, 11 October 2010, retrieved under : http://www.obs.coe.int/about/oea/pr/mavise_oct2010.html

იმისათვის, რომ მიიღოს სატელევიზო კონტენტის გავრცელების უფლება ქვეყანაში და მოვიდეს შესაბამისობაში იმ მოთხოვნებთან, რომელიც დადგენილია მარეგულირებელი ორგანოს (APEK) მიერ. ამ კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია, რომ კონტენტი ციფრული საეთერო მაუწყებლობის პლატფორმით გავრცელდეს ამგვარი ლიცენზიის გარეშე მიუხედავად იმისა, პროგრამები უფასოდ გავრცელდება, თუ საფასურის სანაცვლოდ. ამ რეგულირების საპირისპიროდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნაწილი სხვა წევრი ქვეყნების იურისდიქციის ქვეშ რეგისტრირებულ მაუწყებლებს გავრცელების უფლებას აძლევენ, კერძოდ ესტონეთი, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ფინეთი, შვეიცარია, სლოვაკეთი.

ჰოლანდიაში არ არის დადგენილი აკრძალვები ამგვარი კატეგორიის არხების ტრანსლირებისთვის, თუმცა ამგვარი კონტენტის მფლობელებს ისევე, როგორც ლოკალურ ოპერატორებს, უწევთ მოლაპარაკებების წარმოება საქსელო ოპერატორთან.

ნორვეგია და სლოვაკეთი ადგენს შეზღუდვას იმ ფორმით, რომ მათ ტერიტორიაზე უნდა ხდებოდეს ამ არხების არა პირველადი ტრანსლირება, არამედ რეტრანსლირება. ფინეთში, ამგვარი პროგრამების ლიცენზირებაა აუცილებელი, ხოლო ლიცენზიებისთვის დადგენილია საერთო წესი. დიდ ბრიტანეთში არ არის დადგენილი რაიმე შეზღუდვა ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონტენტზე, მათ ისევე როგორც ლოკალურ ოპერატორებს, მოუწევთ კომერციული სიმძლავრის მიღება. შვედეთში მხოლოდ ის სხვაობაა, რომ ის ლიცენზია, რომელიც გაცემულია სხვა წევრი ქვეყნის მიერ შესაბამისი კანონმდებლობით, არ შეიძლება მოიცავდეს კონტენტის რეგულირების საკითხებს.

5. რეკომენდაციები მულტიპლექსირების ოპერატორის ქსელში არხების განთავსების რეგულირებისთვის

სატელევიზიო პროგრამების ციფრულ საეთერო ქსელში განთავსება უნდა ხორციელდებოდეს დისკრიმინაციის გარეშე და ემსახურებოდეს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესს, ასევე არ არღვევდეს ბაზარზე კონკურენციის პრინციპებს.

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ მაუწყებელს, რომლის პროგრამაც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ პრიორიტეტებს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი (სამაუწყებლო სიხშირეთა გეგმა და

პრიორიტეტები მაუწყებლობის სფეროში), ითვალისწინებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვალდებულებას, რომ „რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტის“ შესაბამისად, ორ წელიწადში ერთხელ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე, გამოაქვეყნოს ტელერადიო მაუწყებლობის პრიორიტეტები.

დაშვების ხელშეკრულების მომლის უფლება, ტელეფონის ურთიერთჩართვის მსგავსად, უნდა ხდებოდეს კომისიის ნებართვითა და თანხმობით.

სამაუწყებლო კონტენტის იმ მწარმოებლებისათვის, რომლებიც სარეკლამო, ან სატელევიზიო ბაზრის (აუდიტორიის გაზომვის შედეგებით) გარკვეულ პროცენტს ფლობენ, შესაძლოა, დაუდგინდეთ დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე და დაეკისროთ დამატებითი გამჭვირვალობის ვალდებულებები.⁴⁷ მაგალითად კრიტერიუმია აუდიტორიის 30% ან მეტი მაჩვენებელი.⁴⁸

რეგულირების გარეშე, განსაკუთრებულ შემთხვევებში კერძო მულტიპლექს პლატფორმებით საზოგადოებრივი მაუწყებლის ტრანსლირების ვალდებულება.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საწყის ეტაპზე მწვავედ დადგეს ეროვნული დაფარვის მულტიპლექსორებთან დაშვების პრობლემები ბაზრის მოცულობის და სარეკლამო შემოსავლების გამო, თუმცა რეგიონული დაშვების წერტილების ეროვნული სამაუწყებლო ქსელის შემთხვევაში პრობლემები მოსალოდნელია.

სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ის პროგრამული მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომელიც კონკრეტულ მაუწყებელს მისცემს უპირატესობას ქსელთან დაშვების პროცესში სხვა მაუწყებელთან შედარებით. მაგალითისათვის, უპირატესად შესაძლოა მიჩნეული იყოს ის პროგრამა, რომელსაც აქვს საინფორმაციო გადაცემები და პოლიტიკური დებატების პლატფორმები. კუმულაციურ პირობად შესაძლოა დადგინდეს ტელევიზიის სარეიტინგო მაჩვენებელიც. სამწუხაროა, რომ საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ არ დაადგინა გარკვეული რეგულაციები ამ მიმართულებით მისაღები კანონქვემდებარე აქტისათვის.

47 <http://www.dijv.de/media-and-power-how-to-guarantee-pluralism-and-diversity/>

48 Regulation of Media Ownership in the EU 1990 – 2004. <http://bit.ly/1rKJQeh>

გარდა ზემოთ მოცემული ვალდებულებებისა, ბაზრის კონიუნქტურის ცვლილების გამო, პლატფორმის შიდა კონკურენციის გაზრდის საჭიროების არსებობის შემთხვევაში, მარეგულირებელს უნდა ჰქონდეს კონტენტის პროვაიდერზე ე.წ. „შეთავაზების ვალდებულების“ დაწესების უფლებამოსილება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რათა პლატფორმის ოპერატორმა შეძლოს მაყურებლისთვის საინტერესო კონტენტის დივერსიფიცირება.

ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელის ოპერატორებზე სავალდებულო ტრანზიტის რეგულირება, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ევროკავშირის იმ ქვეყნების მსგავსად, რომლებსაც სამაუწყებლო ქსელების კუთხით საქართველოს მსგავსი მდგომარეობა აქვთ.⁴⁹

⁴⁹ Carriage obligations for broadcasting platforms, Cullen international SA. <http://www.cullen-international.com/asset/?location=/content/assets/research/studies/2006/12/broadcasting-study-report-2007-anne1.pdf/broadcasting-study-report-2007-anne1.pdf>